ეკა დარბაიძე*

ულტრამემარჯვენე „ეროვნული ერთობის“ ახალი პოლიტიკური დისკურსი და მისი გავლენა ევროპარლამენტის არჩევნების შედეგებზე

აბსტრაქტი

ბოლო წლებში ულტრამემარჯვენე განწყობების მნიშვნელოვანი აღმასვლა შეინიშნება ევროპაში, სადაც ულტრანაციონალისტური ძალების გაძლიერებამ და მათმა ანტიდასავლურმა რიტორიკამ ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები საფრთხის ქვეშ დააყენა. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ეკონომიკურმა კრიზისმა, საერთაშორისო ტერორიზმმა, მზარდმა მიგრაციამ და მულტიკულტურალიზმით მზარდმა უკმაყოფილებამ რადიკალი მემარჯვენე პოლიტიკური ძალების გააქტიურება და მათდამი მხარდაჭერის ზრდა განაპირობა.

საფრანგეთში ჩატარებული ბოლო წლების საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, ისევე როგორც 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გენდერული უფსკრული ულტრამემარჯვენე ძალებსა და ქალ ამომრჩეველს შორის ნელ-ნელა ივსება, სულ უფრო მეტი ქალი აძლევს ხმას პოპულისტურ რადიკალურ ძალებს არჩევნებზე.

აღნიშნული სტატიის მიზანს წარმოადგენს დაადგინოს, თუ რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ფრანგ ელექტორატში ულტრამემარჯვენე პოლიტიკური ძალებისადმი პოლიტიკური სიმპათიების ზრდას და მათ შორის ოცდაათ წლიანი უფსკრულის ამოვსებას, რეალურად შეიცვალა თუ არა ბოლო წლებში პარტიის პოლიტიკური დისკურსი და თანხვედრაში მოდის თუ არა იგი პარტიულ პოლიტიკასთან.

---

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი.

ქალი ლიდერის მმართველობის ქვეშ „ეროვნულმა ერთობამ“ შეძლო მოეხდინა კონსერვატიული პოზიციების მოდერნიზება გენდერის, სექსუალობისა და ოჯახის თემებთან დაკავშირებით. მემარჯვენე ქალი პოლიტიკური ლიდერების მსგავსად, მარინ ლე პენი თავს თანამედროვე და ძლიერ ქალად წარმოაჩენს, რომელიც ქედს არ იხრის პატრიარქალური ნორმების წინაშე. სწორედ ახალი დისკურსით, მან მოახერხა საკუთარი სქესის სტრატეგიულად გამოყენება, შეძლო ქალებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის მოპოვება, რომლებიც ტრადიციულად ყველაზე ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი პოლიტიკური პარტიის ელექტორატთა რიგებში.

საკვანძო სიტყვები: ულტრამემარჯვენე პარტია, მარინ ლე პენი, “ეროვნული ერთობა” (RN), “ეროვნული ფრონტი” (FN), პოპულისტური რადიკალური მემარჯვენე პარტია PRP.

შესავალი

ევროპულ ქვეყნებში ულტრამემარჯვენე პარტიების აღზევება ბოლო წლების ზოგად ტენდენციად იქცა, მათი პარტიების მზარდი მხარდაჭერისა და ექსტრემისტული პოპულისტური იდეების წყალობით. პოპულისტური რადიკალური მემარჯვენე (PRR) პარტიები სულ უფრო მეტად იმყარებენ ძალაუფლების პოზიციებს, შესაბამისად უკანასკნელი ევროპარლამენტის არჩევნების შედეგებზე დაყრდნობით შესაძლოა დავასკვნათ, რომ ულტრამემარჯვენე ძალები განსაკუთრებული მხარდაჭერითა და პოპულარობით სარგებლობენ საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ავსტრიასა და ბელგიაში.

ევროპარლამენტის არჩევნების შედეგებმა ცხადყო, რომ საფრანგეთში “ეროვნული ერთობის“ (RN) მიერ შემოთავაზებული პოლიტიკა გარკვეულწილად ეხმიანება ფრანგი ელექტორატის მოთხოვნებს, რომლებმაც რამდენიმე წლის განმავლობაში განიცადეს ეკონომიკური, პოლიტიკური და იდენტობის კრიზისი. შესაბამისად, ამ უაღრესად რთულ ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ვითა-

რებაში, პოპულიზმის აღმავლობიდან წამოსული საფრთხეები ალბათ ერთ-ერთ ყველაზე მწვავედ სწორედ საფრანგეთის პოლიტიკურ დღის წესრიგში დგას.

საფრანგეთში „ეროვნული ერთობა“ (RN) ულტრამემარჯვენე პოლიტიკურ პარტიას წარმოადენს, იგი ფრანგულ საზოგადოებაში წლების განმავლობში მიიჩნეოდა ღიად ფაშისტურ და ექსტრემისტულ პარტიად, რომელიც ვერ ასახავდა საფრანგეთის მოქალაქეთა მოთხოვნებსა და მისწრაფებებს. თუმცა მას შემდეგ, რაც აღნიშნული პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერი მარინ ლე პენი გახდა, ახალმა პოლიტიკურმა ლიდერმა სათავე დაუდო მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს და თავის გარშემო ფრანგი ამომრჩევლების მნიშვნელოვანი ნაწილის მობილიზება შეძლო. 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნების შედეგები კი იმ რეალობის ერთგვარ კონსტანტაციას წარმოადგენს, რომ საფრანგეთში დიდი ხნის წინ არსებული გენდერული უფსკრული პარტიასა და ქალ ამომრჩevლებს შორის ნელ-ნელა ივსება.

ევროპარლამენტის არჩევნები საფრანგეთში 9 ივნისს გაიმართა და ქვეყანაში ახალი პოლიტიკური რეალობა გამოვლინდა: ოპოზიციურმა ულტრამემარჯვენე პარტიამ “ეროვნულმა ერთობამ” (RN) ორჯერ მეტი ხმა აიღო მაკრონის მმართველ კოალიციასთან შედარებით, მარინ ლე პენის „ეროვნულმა ერთობამ“ ხმების 31,36%, ხოლო მაკრონის კოალიციამ კი 14,6%-ი მიიღო. არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა ეროვნული ასამბლეა დაითხოვა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გამოაცხადა. ევროპარლამენტის არჩევნების შედეგები საინტერესო აღმოჩნდა გენდერულ ჭრილშიც, Ipsos France-ს კვლევის შედეგების მიხედვით, “ეროვნულმა ერთობამ” 2019 და 2024 წლების ევროპულ არჩევნებს შორის ათი პროცენტით, კერძოდ კი 20%-დან 30%-მდე გაზარდა მხარდაჭერა ქალ ამომრჩეველში, ხოლო 28%-დან 32%-მდე კაც ელექტორატში. შესაბამისად, 2017 წლიდან საფრანგეთში ელექ-

ტორალური ქცევა მნიშვნელოვნად იცვლება ქალებსა და კაცებში. ჩატარებული არჩევნების შედეგებით დგინდება, რომ თითქმის იმ-დენივე ქალმა ამომრჩეველმა მისცა ხმა ულტრამემარჯვენე პარ-ტიის კანდიდატს, რამდენმა მამაკაცმაც, რაც სრულიად უპრეცე-დენტო მოვლენას წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის ისტორიაში. შედარებისთვის, საინტერესოა იმ ფაქტის გახსენებაც, რომ ჟან-მარი ლე პენმა, პარ-ტიის მაშინდელმა პრეზიდენტმა, 2002 წლის საპრეზიდენტო არჩევ-ნებზე მამაკაცების ხმების 26%-ი და ქალთა ხმების მხოლოდ 11%-ის აღება შეძლო.

პოლიტიკური პარტია "ეროვნული ერთობა", რომელმაც ევ-როპარლამენტის არჩევნებში პირველი პოზიცია დაიკავა, 1972 წელს ჟან-მარინ ლე პენმა დააფუძნა და მას „ეროვნული ფრონტი" (FN) უწოდა, თუმცა აღნიშნულმა პოლიტიკურმა ძალამ ვერ შეძლო ფრანგი ელექტორატის მხარდაჭერის მოპოვება. "ეროვნული ფრონ-ტი" წლების განმავლობაში პოზიციონირებდა მემარჯვენე პოპუ-ლისტური, ანტიკომუნისტური და ქსენოფობიური მოძრაობის იმი-ჯით, საზოგადოებაში აღიქმებოდა ექსტრემისტულ ძალად, რომე-ლიც ნაკლებად ეხმიანებოდა ფრანგი ამომრჩევლების მოთხოვნებსა და საჭიროებებს, შესაბამისად აცდენილი იყო ფრანგული სახელ-მწიფოს პოლიტიკურ დღის წესრიგს. ყოფილი "ეროვნული ფრონ-ტი" (FN), რომელიც ახალი ნეო-ფაშისტური წესრიგის მძაფრი იმ-პულსების ძლიერი გავლენების შედეგად დაარსდა, ოცდაათწლიანი არსებობის შემდეგ გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. პარტიის ახალი პო-ლიტიკური დოქტრინა განისაზღვრა მისი ახალი ლიდერის, მარინ ლე პენის ინიციატივით, რომელმაც მამისგან, მისი დამფუძნებლის-გან - ჟან მარი ლეპენისაგან 2011 წელს გადაიბარა ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. მას შემდეგ, რაც მარინ ლე პენმა პარტიის ლიდე-რის პოზიცია დაიკავა, მან პარტიაში სათავე დაუდო მნიშვნელოვან ტრანსფორმაციულ პროცესებს.

2018 წელს საფრანგეთის „ეროვნულმა ფრონტმა“ სახელწოდება შეიცვალა და „ეროვნული ერთობა“ (Rassembelement National) დაირქვა. პარტიის მიერ ოფიციალურად გამოცხადებული დერადიკალიზაციის სტრატეგია წარმოადგენდა ფრანგულ საზოგადოებაში არსებული ნეგატიური აღქმების შეცვლის სტრატეგიას, რომელიც ითვალისწინებდა სადავო წევრების განდევნას ორგანიზაციიდან და პარტიის პოლიტიკური დღის წესრიგის ასპექტების შერბილებას. სახელწოდების შეცვლა წარმოადგენდა სემანტიკური დატვირთვის ერთგვარ ცვლილებას. მარინ ლე პენმა შეცვალა პარტიის დისკურსი, რათა გაენეიტრალებინა მკვეთრი ქსენოფობიური მესიჯები და ჩაანაცვლა იგი შედარებით უფრო "მოკრძალებული“, პოპულისტური რიტორიკით. აღსანიშნავია, რომ ლიდერის ახალი სტრატეგია უფრო მეტად მიმანიშნებელი იყო და ხაზს უსვამდა პარტიის ერთგვარ მცდელობას, მოეშორებინა ფაშისტური პარტიის იარლიყი, თუმცა ბუნებრივია, რომ ეს იყო უფრო ერთგვარი პიარ ტექნოლოგიის ნაწილი, ვიდრე პარტიის რეალური იდეოლოგიური ტრანსფორმაციის მცდელობა (Paxton, F., & Peace, T., 2021). როგორც წესი “ფრონტი” ასოცირდება დაპირისპირებასთან, აღნიშნავს ბრძოლის პარტიას, ხოლო “ერთობა” კი ქმნის პარტიის მხრიდან ერთგვარი შეთავაზების განცდას, კავშირის მზაობის იდეას. აღნიშნული ცვლილებების მიზანს წარმოადგენდა არა მხოლოდ ჟან-მარი ლე პენის პარტიისაგან დისტანცირება, არამედ ღიაობისა და ნორმალიზაციის სტრატეგიის მიღება, ნაკლებად დივერსიული და უფრო კონსენსუალური (Chabaud, 2024). მაშასადამე პარტიის საცნობარო ჩარჩო შეიცვალა და გახდა ბევრად უფრო პრორესპუბლიკური, აშკარად უფრო ზომიერი ტონით, თუმცა პარტიის ძირითადი იდეოლოგია და მესიჯები უცვლელი დარჩა.

პარტია ფლაგმანურ განაცხადად ინარჩუნებს “ეროვნულ პრიორიტეტს”, რომელიც მიზნად ისახავს ფრანგების უპირატესობას უცხოელებთან შედარებით სამუშაოს, საცხოვრებლისა და

სოციალური სერვისების განაწილებაში. ჯერ კიდევ 1980-იან წლებში, ჟან-მარი ლე პენის დროს, ბრუნო მეგრემ და ჟან-ივ ლე გალუმ შექმნეს „ეროვნული უპირატესობის“ კონცეფცია. აღნიშნული ტერმინი სწრაფად აითვისა ჟან-მარი ლე პენმა, რომელმაც იგი შეიტანა “ეროვნული ფრონტის” (FN) პროგრამაში. თუმცა მარინ ლე პენი უპირატესობას ანიჭებს ტერმინს „ეროვნულ პრიორიტეტს“, რაც კიდევ უფრო აქრობს გარიყულობისა და ეგოცენტრიზმის იდეას. 2012 წელს, აღნიშნული კონცეფცია ხელახლა ჩამოყალიბდა მარინ ლე პენის მიერ, როგორც "ეროვნული პრიორიტეტი”. ესაა პოლიტიკური კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, ქვეყნის მოქალაქეები უნდა იყვნენ უპირატესნი უცხოელებთან შედარებით სხვადასხვა სფეროში. მარინ ლე პენი მაქსიმალურად ცდილობს, უარი თქვას ისეთი ტერმინოლოგიის გამოყენებაზე, რომელიც საზოგადოების მკაცრი კრიტიკის საგანი შესაძლოა აღმოჩნდეს. მაგალითად, იმიგრაციიდან წამოსული საფრთხეებიდან ფრანგების დაუცველობის ასოციაციის შექმნის მიზნით, იგი შეუზღუდავად იყენებს “ველურობისა” და “ბარბარიზმის” ცნებებს, რომელიც, მისი თქმით, „აღწევს ისეთ დონეს, რომ ხელს უშლის მოქალაქეთა სოციალურ ცხოვრებას, აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას“ (Le Journal du Dimanche, 27.07.2020). მარიან ლე პენმა შესანიშნავად იცის, რომ აღნიშნული ტერმინის გამოყენება ამჯერად საფრთხეს აღარ წარმოადგენს, რადგან იგი უკვე 2020 წელს საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჟერალდ დარმანინმა გაზეთ “ფიგაროსთან” მიცემულ ინტერვიუში გამოიყენა, როდესაც მან აღნიშნა, რომ: “აუცილებელია „საზოგადოების გარკვეული ნაწილის სისასტიკის შეჩერება და სახელმწიფოს ავტორიტეტის ხელახლა დადასტურება”.

2011 წელს, პარტიის სათავეში მარინ ლე პენის მოსვლამდე, “ნაციონალური ფრონტი”(FN) განუყოფლად იყო დაკავშირებული მამის, ჟან მარი ლე პენის ფიგურასთან: საფრანგეთის ბოლო კოლონიური ომების ვეტერანი, პოლიტიკური პროვოკაციებისკენ მიდრე-

კილი, რომელიც რამდენჯერმე დაგმეს ანტისემიტური განცხადებების გამო: "მე არ ვამბობ, რომ გაზის კამერები არ არსებობდა. მე არ მინახავს ისინი. განსაკუთრებულად არ შემისწავლია ეს საკითხი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს არის მეორე ომის მსოფლიო ისტორიის დეტალი", - განაცხადა ჟან მარი ლე პენმა 1987 წელს მიცემულ ინტერვიუში (BBC, 2024). მას შემდეგ ჟან მარი ლე პენს არ შეუწვეტია საუბარი გაზის კამერების „დეტალებზე“, რაც 2015 წელს საკუთარი პარტიიდან გარიცხვად და ქალიშვილთან გაუცხოების ფასად დაუჯდა. ჟან მარი ლე პენის ანტისემიტიზმში ბრალეულობა წლების განმავლობაში ერთ-ერთ მთავარ და მძლავრ იარაღს წარმოადგენდა მისი პოლიტიკური კონკურენტების ხელში მის წინააღმდეგ, რომლის განეიტრალება და თავის დაცვა უკიდურესად რთული იყო.

პარტიის სათავეში მოსვლის შემდეგ, მარინ ლე პენი აქტიურ ძალისხმევას სწევდა იმისათვის, რომ მოეხდინა მამის პოლიტიკური მემკვიდრეობისაგან დისტანცირება. ის დღემდე ცდილობს შეიქმნას ახალი ინკლუზიური იმიჯი, ემიჯნება ყოველგვარ ანტისემიტურ ან რასისტულ მტრობას და მუდმივ გამოხატავს მისწრაფებებს ფრანგულ ებრაულ საზოგადოებასთან და ჩრდილოეთ აფრიკული წარმოშობის ახალ თაობებთან. მიუხედავად ამისა, მისი პოლიტიკა იმიგრაციასთან დაკავშირებით და ფრანგებისთვის საცხოვრებლისა და დასაქმების კუთხით კვლავ პრიორიტეტად რჩება, რომელიც პარტიის ზომიერ და პოპულისტურ იმიჯს აყალიბებს.

მას შემდეგ, რაც მარინ ლე პენმა „ეროვნული ფრონტის“ (FN) პრეზიდენტობა გადაიბარა, აღნიშნულმა ულტრამემარჯვენე პარტიამ მარინ ლე პენის ხელმძღვანელობიდან ექვსი წლის თავზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სამ ფრონტზე, ეს იყო: პარტიის წევრთა რაოდენობრივი მაჩვენებელის ზრდა, არჩევნების შედეგების მხრივ მიღწეული წარმატებები და საზოგადოებრივი აზრის ტრანსფორმაცია. 2016 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგებზე

დაყრდნობით შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ თითქმის 20%-ით შემცირდა (70%-დან 50%-მდე) საფრანგეთში იმ ამომრჩელეთა მაჩვენებელი, რომელიც პარტია „ეროვნულ ერთობას“ ქვეყნის „საფრთხედ“ მიიჩნევდა (Stockemer D.,&Barisione M., 2016).

2022 წლიდან კი პარტია გარკვეულ სიახლეებს განიცდის და პარტიის პრეზედენტის პოსტზე 26 წლის ახალგაზრდა, იმიგრაციული წარმომავლობის მქონე ჯორდან ბარდელა ინიშნება. ევროპულ არჩევნებში ჟორდან ბარდელას სიის გამარჯვებამ და ეროვნული ასამბლეის დაშლამ სრულად შეძრა საფრანგეთის პოლიტიკური კლასი. აღნიშნული მოცემულობა მართლაც რომ უპრეცედენტო შემთხევას წარმოადგენდა, რადგან ევროპულ დემოკრატიებში, როგორც წესი, მამაკაცებისგან განსხვავებით ქალები უფრო ნაკლებად აძლევენ ხმას პოპულისტურ, რადიკალურ მემარჯვენე პარტიებს.

მარინ ლე პენის იმიჯის ტრანსფორმაცია და ქალი ამომრჩეველი, როგორც სამიზნე

უკიდურესი მემარჯვენე პარტიები, როგორც წესი, კონსტრუირებულნი არიან ისეთ პატრიარქალურ მოდელზე, რომელშიც ქალები ნაკლებად იმყოფებიან მათ ელექტორატთა ბაზაში. ბირგიტ მაიერი, გენდერული პოლიტიკის სპეციალიზირებული მკვლევარი გამოყოფს თვითრეპრეზენტაციის რამდენიმე სტრატეგიულ ტექნიკას, რომელსაც ულტრამემარჯვენე პარტიების ქალი ლიდერები იყენებენ, რომელთაგან სამს უშუალოდ თავად მარინ ლე პენი აქტიურად იყენებს (Rreban, 2022).

უპირველეს ყოვლისა, უკიდურესად მემარჯვენე ქალი პოლიტიკოსები ირგებენ და იყალიბებენ შთამაგონებელი და თანამედროვე ქალის იმიჯს, რომელსაც წარმატებით შეუძლია შეითავსოს პირადი და პროფესიული ცხოვრება. ეს არის ის, რასაც მარინ ლე პენი საკუთარ თავზე აცხადებს: “მშრომელი ქალი, მამაკაცებით

გარემოცულ გარესამყაროში, რომელიც მარტო ზრდის საკუთარ შვილებს".

მეორე, ეს არის სტერეოტიპების შექმნა, რომელიც მიეწერება უკიდურესად მემარჯვენე ქალ პოლიტიკოსებს, რომლებიც აყალიბებენ უფრო რბილ იმიჯს კონსერვატიული, ქსენოფობიური და ნაციონალისტური პოლიტიკის შესახებ. მარინ ლე პენი მედია საშუალებებთან ინტერვიუში არაერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ის თავად არის დედა. 2015 წელს მან პარტიის ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე საკუთარი თავი შემდეგნაირად დაასათაურა - „სამი მცირეწლოვანი შვილის დედა". ულტრამემარჯვენე ქალი პოლიტიკოსები ოჯახზე მნიშვნელოვანი აქცენტირებით გავლენას ახდენენ ქალის, როგორც მეუღლისა და დედის სტერეოტიპის გაძლიერებაზე, რომელიც აყალიბებს აზრს საზოგადოებაში, რომ ოჯახი არის საზოგადოების მთავარი ფუნდამენტი, სადაც ქალები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

მესამე ინსტრუმენტი, რომელსაც ულტრამემარჯვენე პარტიების ქალი ლიდერები იყენებენ, ეს არის მოცემულობის კონსტანტაცია, ისინი ახდენენ „წარმოუდგენლის, დაუჯერებლის ნორმალიზებას" ტაბუდადებული თემების ხსენებით (როგორიცაა ნაციონალისტური ან ქსენოფობიური პოზიციები) და ცდილობენ აღნიშნული ხედვის დამკვიდრდებას „მიღებულ სტანდარტად" საზოგადოებაში. ამგვარად, გენდერული ჩარჩოს გამოყენებით ხდება „ექსტრემისტული" ჩარჩოების" განეიტრალება რომელსაც წარმატებით იყენებს "საფრანგეთის ეროვნული ერთობა" (RN). ლე პენის მიერ საკუთარ ქალურობაზე აქცენტირება და თანამედროვე ქალად წარმოჩენა წარმოადგენს მისი პოლიტიკური სტრატეგიის ნაწილს ისლამიზაციის საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლაში. მარიან ლე პენი ანტიისლამურ იდეების ლეგიტიმაციას ახდენს ქალთა უფლებების სიტყვიერი აღიარებით, რაც განსაკუთრებით იგრძობოდა მის 2017 წლის პროგრამაში: „ქალების უფლებების დაცვა: ისლამიზა-

ციის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც არღვევს ჩვენს ფუნდამენტურ თავისუფლებებს" (Insititute du Genre en Geopolitique, 2022). შესაბამისად ადგილი აქვს რადიკალური მემარჯვენე პოპულისტური ძალების ერთგვარ ფემინიზაციას და მოდერნიზაციას, რათა ნაკლებად რადიკალურებად აღიქმებოდნენ ისინი საზოგადოებაში.

2012 და 2017 წლების საპრეზიდენტო არჩევნებში მარცხის შემდეგ, მარინ ლე პენმა მიზანში ამჯერად ქალი ამომრჩევლი ამოარჩია და მიზნად მათი პოლიტიკური მხადაჭერის მოპოვება დაისახა, რომლებიც როგორც წესი ტრადიციულად ნაკლებად გვევლინებიან ულტრამემარჯვენე პარტიების ელექტორატთა რიგებში. საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის (IFOP) მკვლევრის ლუიზ ჯუსიანის თქმით, "ფრანგ ამომრჩეველთა 49% მიიჩნევს, რომ მარინ ლე პენი არის "ფემინისტი", რაც ერთობ "დაუჯერებელი და გასაკვირი" შედეგია (Institut d' Etudes Opinion et Marketing en France et a l'Internatonale, 2022). როგორც კვლევის ავტორი განმარტავდა, აღნიშნული სტატისტიკა წარმოადგენდა საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატის, მარინ ლე პენის მიერ განხორციელებული "ნორმალიზაციის" კამპანიის ერთგვარ წარმატებულ შედეგს, რადგან ტრადიციულად "ფემინიზმი" არასოდეს არ ასოცირდებოდა ულტრამემარჯვენე "ეროვნულ ერთობასთან". რამდენიმე წლის განმავლობაში აღნიშნული პარტია აქტიურად მუშაობდა და მოახერხა კიდეც პოლიტიკური დისკურსისა და იმიჯის ტრანსფორმაცია, მისი მორგება ქალ ამომრჩეველზე. მარინ ლე პენი ცდილობდა წარმოეჩინა საკუთარი თავი ფემინისტად, რომელიც როგორც თავად აცხადებს არ გამოხატავს მტრობას "მამაკაცების მიმართ" და საკუთარ გამოსვლებში ხშირად ციტირებს სიმონა დე ბოვუარისა და სიმონ ვეილის სიტყვებს.

მრავალი წლის განმავლობაში, ულტრამემარჯვენე კანდიდატები განიცდიდნენ ე.წ "რადიკალურ მემარჯვენე გენდერულ უფსკრულს" ქალ ამომრჩევლებთან: როგორც წესი ქალი ამომრჩეველი

ტრადიციულად თავს იკავებდა ხმის მიცემისგან ულტრამემარ-ჯვენე პარტიებისთვის. 2022 წელს აღნიშნული უფსკრული ქალ და მამაკაც ამომრჩეველს შორის კიდევ უფრო გააღრმავა ულტრამემარ-ჯვენე პარტიის “Reconquête”-ის ლიდერმა ერიკ ზემურმა (Le Journal du Dimanche, 22.04.2022). ფრანგულმა სასამართლომ ზემური ორ-ჯერ უკვე სცნო დამნაშავედ სიძულვილის ენის გამოყენებასა და რასობრივი ძალადობის წახალისებაში და მის წინააღმდეგ რამდე-ნიმე სხვადასხვა საქმე იქნა აღძრული. შესაბამისად ერიკ ზემურის კანდიდატურამ ხელი შეუწყო მარინ ლე პენის იმიჯის ერთგვარ შერბილებას. ამჯერად უკვე განქორწილებული ყოფილ კომპანიონ-თან ლუის ალიოტთან, ულტრამემარჯვენე ლიდერმა ასევე მოახ-დინა საკუთარი მარტოხელა დედის სტატუსის პოპულარიზაცია, რათა ქალი ამომრჩეველი საკუთარი მაგალითით დაარწმუნოს, რომ ქალსაც შეუძლია წარმატების მიღწევა მამაკაცის დახმარების გარე-შე. 2006 წელს გამოცემულ საკუთარ ავტობიოგრაფიულ წიგ-ნში, ”დინების წინააღმდეგ”, მარიან ლე პენმა აღიარა, რომ ცხოვრე-ბის გამოცდილებამ იგი "თითქოს ფემინისტად" აქცია (Grancher, 2006). ახალ იმიჯზე მუშაობისას, მარინ ლე პენი უზომოდ აქცენ-ტირებს იმ ფაქტზე, რომ ის ქალია, აქცენტირებს დედის გამოცდი-ლებაზე, მის „ინტიმურ, მაგრამ ასევე პოლიტიკურ ქალურ ასპექ-ტებზე ხაზგასმით, მისი სტრატეგია წარმატებული აღმოჩნდა. შესა-ბამისად, იგი ამჯერად აღიქმება, როგორც „ქალი და ფემინისტი“, აღნიშნავს დაიან რიჩარდი, ფემინისტური ერთობის და ჰეშდეგის “ჩვენ ყველას” (#NousToutes) წევრი. საზოგადოებისათვის სამი შვი-ლის მარტო გაზრდის შეხსენებით, ის ახდენს ქალებთან თვით-იდენტიფიკაციას და იწვევს ემპათიას ელექტორატში. ლე პენს სურს დაემსგავსოს საკუთარ ამომრჩეველს, ის წარმოადგენს ძლიერ ქალს, რომელიც რიგითი მოქალაქეებისთვის ყალიბდება ერთგვარ დამცავ ფიგურად, რომლებიც განიცდიან ყოველდღიურ სოციალურ სირ-

თულეებს და შესაბამისად იწვევს მათში ერთგვარ პოლიტიკურ სიმპათიებს.

2018 წელს დაწყებული პარტიის დერადიკალიზაციის სტრატეგია ასევე მოიცავს ახალ მედიას, რამაც ხელი შეუწყო მისი იმიჯის შტრიხების მნიშვნელოვან შერბილებას. მარინ ლე პენი ხშირად იყენებს YouTube-ს, საუბრობს პირად ცხოვრებაზე და ხაზს უსვამს კატებით საკუთარ გატაცებას. საყვარელ კატებთან ერთად 2022 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში იგი არაერთხელ გამოჩნდა სოციალურ ქსელებში, როდესაც ლე პენი რამდენიმე კნუტს ეროვნული ასამბლეის სხვა დეპუტატებს გადასცემდა, მან კნუტების გაშვილების მოლოდინებიც კი შეუქმნა საზოგადოებას (Marine Le Pen, incollable sur ses 6 chats).

მარიან ლე პენი ხშირად საუბრობს მედიაში საკუთარი მტკივნეული ბავშვობის შესახებ, თუ როგორ განიცდიდა გარიყულობას და იზოლაციას საზოგადოების მხრიდან საკუთარი მამის პოლიტიკური შეხედულებების გამო. ისტორია, რომელზეც იგი საუბრობს, მედიაში კეთილგანწყობასა და პოლიტიკური სიმპათიების მოპოვებაში ეხმარება, ისევე როგორც მამის მიერ ნაანდერძევი იდეებისა და მემკვიდრეობისგან გამიჯვნაში.

მარინის პოლიტიკური გამოღვიძება ძალიან ადრე, 1976 წელს დაიწყო, როდესაც მან რვა წლის ასაკში მოახერხა გადარჩენილიყო მამისზე განხორციელებული თავდასხმის დროს, რომელმაც სერიოზულად დააზიანა ლე პენის ოჯახის საცხოვრებელი ბინა პარიზის ცენტრში. საკუთარ ავტობიოგრაფიაში მარინ ლე პენი აღწერს, თუ როგორ იმყოფებოდა თავდასხმის დროს ორ უფროს დასთან ერთად და შემზარავი დეტალებით გადმოსცემს სცენას: „მუხლებზე ვიდექით, ვკანკალებდით, ხელები გვეჭირა... როდესაც მოგვესმა მამის ხმა, რომელიც მთელი ხმით ყვიროდა: „გოგონებო, გოგონებო, ცოცხლები ხართ?". სკოლაში პატარა მარინ ლე პენის კლასელებს მოსთხოვეს, არ მიახლოებოდნენ მას: „ჩვენს ირგვლივ ნამდვილი სანი-

ტარული კორდონი მოაწყვეს, - არ მიუახლოვდეთ ლე პენს!” - იხსენებს იგი საკუთარ ავტობიოგრაფიაში (Grancher, 2006).

2022 წელს ქალთა უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს 8 მარტს, “ფიგაროში” გამოქვეყნდა ლე პენის „წერილი ფრანგ ქალებს“. მარინ ლე პენმა, იმ დროისათვის უკვე საფრანგეთის საპრეზიდენტო კანდიდატმა, მიუძღვნა წერილი ქალებს, რომელშიც მან დაადასტურა თავისი „მგრძნობელობა ფემინისტური საკითხების მიმართ“. მარინ ლე პენის თქმით, მას სურდა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა "პრიორიტეტი" გამხდარიყო. იგი ასევე წერდა ე.წ "გინეკოლოგიურ უდაბნოების" შესახებ და ჰპირდება ქალებს "ენდომეტრიოზის" აღიარებას, ხაზს უსვამდა "მარტოხელა ოჯახების" უკეთესი მხარდაჭერის მნიშვნელობას, რაც ასევე შედიოდა მისი საპრეზიდენტო პროგრამის ერთ-ერთ პუნქტში, რომელშიც ლეპენმა პირობა დადო, რომ "გააორმაგებდა მარტოხელა დედების მხარდაჭერას. მარინ ლე პენი ხშირად იყენებს ფემინისტურ თეორიებს საკუთარ რიტორიკაში, რომელთაც იგი ასახავს უსაფრთხოებისა და იმიგრაციის საკითხების ჭრილში.

2012 წელს, მაშინ როდესაც მარინ ლე პენი ჯერ კიდევ მამის ანტიფემინისტურ ხაზს ატარებდა, საპრეზიდენტო კამპანიის დროს მკაცრად გააკრიტიკა ქვეყანაში არსებული ორსულობის შეწყვეტის მაღალი მაჩვენებელი და ხაზი გაუსვა ოჯახის მნიშვნელობას. აღნიშნულ სტატისტიკას „კომფორტული აბორტები“ უწოდა, რომლებსაც ქალები ერთგვარ კონტრაცეფციის საშუალებად მიმართავდნენ. „აბორტი ტრაგედიაა, ეს ქალების დიდმა უმრავლესობამ იცის. ეს არის პირადი ტრაგედია” - წერს ლე პენი საკუთარ ავტობიოგრაფიაში. 2016 წლიდან კი იგი უკვე ტოვებს “კომფორტის აბორტების” ძალიან კრიტიკულ და ნაკლებად მომგებიან თემას და შემდგომი არჩევნების პერიოდიდან უკვე რადიკალურად იცვლის პოზიციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მარიან ლე პენი აღიარებს აბორტს ქალის ფუნდამენტურ უფლებად და აღარ ეწინა-

აღმდეგება აღნიშნული სამედიცინო პროცედურის სადაზღვეო ანაზღაურებას და მოითხოვს ქალთა აღნიშნული უფლების კონსტიტუციაში ჩაწერას. ერვან ლეკერი, რომელმაც 2023-2024 წწ. თვისებრივი კვლევა ჩაატარა "ეროვნული ერთობის" RN-ის ამომრჩევლებში, აღნიშნავს, რომ მან დაინახა ის გავლენა, რომელიც მარინ ლე პენმა მოახდინა 30-40 ასაკობრივი ჭრილის ქალებში. ისინი მოხიბლულნი არიან ლე პენით, თაყვანს სცემდნენ მას, რადგანაც განასახიერებს ძლიერი ქალის სახეს, რომელიც არ ემორჩილება და არასოდეს არ დადის მამაკაცების ნება-სურვილზე (RFI, 13.06.2024).

2012 წლის შემდეგ, ლე პენის და მისი პროგრამის დისკურსმა 180 გრადუსიანი ცვლილება განიცადა. ამჯერად იგი ქალებს სთავაზობს უფასო კონტრაცეფციას და სამშობიარო განყოფილებების გახსნას, რომლებიც აბორტის ცენტრების ფუნქციას შეასრულებდნენ. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამჯერად პარტიის პროგრამა ქალთა საკითხების იგვლივ ერთგვარად განახლდა. ცხადი გახდა, რომ „ეროვნული ერთობის" (RN) ლიდერმა მიზანში ქალი ამომრჩეველი ამოიღო. მან თავი წარმოაჩინა, როგორც თანამედროვე, პროფესიულად და პოლიტიკურად ემანსიპირებულმა ფრანგმა ქალმა, რომელთანაც ქალებს შეუძლიათ საკუთარი თავის იდენტიფიკაცია. მან მნიშვნელოვნად შეარბილა და მოახდინა საკუთარი იმიჯის "დეექსტრემიზაცია" და გადაწყვიტა წარმოედგინა საკუთარი პარტია ისეთ პოლიტიკურ ძალად, რომელიც იცავს ქალების, ისევე როგორც ლგბტ და ებრაელების უფლებებს რადიკალური ისლამიზაციის საფრთხეების წინაშე, რომლის პროცესშიც იგი ცდილობს ერთგვარ, წარმატებულ ინსტრუმენტად გამოიყენოს ფემინიზმი.

პოლიტიკური განცხადებები უმნიშვნელო ქმედებების ფონზე

პარტიის ოფიციალურ რიტორიკიდან ქმედებებამდე არსებობს ნაბიჯები, რომელსაც „ეროვნული ერთობის" (RN) არჩეული ოფი-

ციალური პირები იშვიათად დგამენ. ხშირ შემთხვევაში პარტიის გაცხადებული პოზიცია არათუ ემთხვევა, არამედ პირიქით, წინააღმდეგობაშიც კი მოდის მათ ქმედებებთან, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება, როდესაც საქმე ქალთა უფლებებს შეეხება. რამდენად რეალურია და რამდენად მოდის ერთმანეთთან თანხვედრაში პარტიის ლიდერების ოფიციალური განცხადებები მათივე პარტიის წევრების პოლიტიკურ ქმედებებთან? ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა 17 ივნისს, ეროვნული ასამბლეის არჩევნების წინ პარტიის ამჟამინდელი პრეზიდენტის ჯორდან ბარდელას გამოსვლა, რომელმაც შემდეგ სიტყვებით მიმართა ქალებს: ***"მე მინდა მივმართო საფრანგეთის ყველა ქალს.. ხვალ მე ვიქნები საფრანგეთის პრემიერ მინისტრი, რომელიც საფრანგეთში ყველა გოგოსა და ქალს მისცემს მათ უფლებებისა და თავისუფლებით სარგებლობის ურყევ გარანტიებს".*** ასე დაიწო ჯორდან ბარდელამ საკუთარი გამოსვლა სოციალურ ქსელში. კამერის წინ, სამუშაო მაგიდაზე მიყრდნობილმა, გარშემორტყმულმა საფრანგეთის დროშითა და რესპუბლიკური დევიზით „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა", მატინიონის რეალური კანდიდატი "აყალიბებდა საკუთარ არგუმენტებს ქალი ამომრჩეველების ხმების მოსაპოვებლად", აღნიშნავდნენ ქალთა უფლებამაცველები (RFI, 18.06.2024).

2018 წელს საფრანგეთში "შიაპას კანონი" (Loi Schiappa) მიზნად ისახავდა საჯარო სივრცეებში სექსუალური შევიწროების დასჯად ქმედებად გამოცხადებას. საზოგადოებრივ ადგილებში ქალის მიმართ დასტვენის ან მისთვის ტელეფონის ნომრის დაჟინებით მოთხოვნის კანონით დასჯად ქმედებად გამოცხადების ინიციატივა, გენდერული საკითხებში სახელმწიფო მდივანს მარლენ შიაპას ეკუთვნოდა (The Conversation, 2.07. 2024). 2016 წელს ტრანსპორტის მომხმარებელთა ასოციაციის ეროვნული ფედერაციის (FNAUT) ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკითხულ რესპონდენტთა თითქმის 90%-მა განაცხადა, რომ მათ განუცდიათ სექსუალური

შევიწროება საზოგადოებრივ ტრანსპორტში. აღნიშნული კვლევის მიხედვით, საფრანგეთში გამოკითხული ყოველი მეორე ქალი შარვალის ტარებას ამჯობინებს, რათა არ გახდეს სექსუალური შევიწროების მსხვერპლი საზოგადოებრივ ტრანსპორტში. მიუხედავად არსებული მწვავე რეალობისა, საინტერესოა, რომ მარინ ლე პენმა და მისმა დეპუტატებმა თავი შეიკავეს აღნიშნულ კანონპროექტის მხარდაჭერისგან, რომელიც მიზნად ისახავდა სექსუალური და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

2021 წლის ევროპარლამენტში კენჭისყრისას, რომელიც ითვალისწინებდა სექსუალურ შევიწროების წინააღმდეგ ტრენინგებს ევროპულ ინსტიტუტებში, "ეროვნული ერთობის" (RN) ევროპარლამენტარმა დეპუტატებმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. უფრო მეტიც, "ეროვნული ერთობის" ევროდეპუტატმა ჰელენ ლაპორტმა, კანონის წინააღმდეგ მისცა ხმა, რომელიც ამავდროულად „მოუწოდებდა" ევროკავშირის ქვეყნებს მეტი ძალისხმევა გაეტარებინათ სექსუალური შევიწროების დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. (TV5 Monde, 17.06.2024).

2024 წ. 4 მარტს პარტიის პრეზიდენტი ჯორდან ბარდელა მიესალმა აბორტის კონსტიტუციონალიზაციას. ახალ ვიდეოში ჯორდან ბარდელამ კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებას, რომ „მარინ ლე პენი მხარს უჭერდა ორსულობის ნებაყოფლობით შეწყვეტის კონსტიტუციაში შეტანის უფლებას". "ეროვნული ერთობის" ახალგაზრდა ლიდერმა მართალია მხარი დაუჭირა აღნიშნულ ინიციატივას, თუმცა 2024 მარტში აბორტის უფლების საფრანგეთის კონსტიტუციაში შეტანის შესახებ გამართულ კენჭისყრაში, "ეროვნული ერთობის" ჯგუფმა აღნიშნულ ცვლილებას პროპორციულად ყველაზე ნაკლები ხმა მისცა. 88 დეპუტატიდან 46-მა მხარი დაუჭირა, 11-მა წინააღმდეგ მისცა ხმა, 20-მა თავი შეიკავა და 11 დეპუტატი კი საერთოდ არ გამოცხადდა კენჭისყვრაზე (The Conversation, 2.07. 2024). აღსანიშნია ის ფაქტიც, რომ 2022 წელს, "ეროვნული ერთო-

ბის”(RN) დეპუტატებმა ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტის კანონიერი ვადის (IVG) გახანგრძლივების (12-დან 14 კვირამდე) წინააღმდეგ მისცეს ხმა (RFI,13.06.2024).

2020 წლის ნოემბერში ბრიუსელში, ევროკავშირის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მკაცრად გმობდა პოლონეთში აბორტის თითქმის სრულ აკრძალვას, ვინაიდან აღნიშნული ქმედება ქალებისთვის წარმოადგენდა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სერიოზულ საფრთხეს, რაც ქალთა უფლებათა დაცვის კუთხით უკანდახევას წარმოადგენდა. აღნიშნული რეზოლუცია მიღებული იქნა 455 ხმით მომხრე, 45 წინააღმდეგ, სწორედ მოწინააღმდეგეთა შორის აღმოჩნდა “ეროვნული ერთობის” ოცდასამი ევროპარლამენტარი დეპუტატი.

აღნიშნული მოცემულობა ქმნის იმ რეალობას, რომ “ეროვნული ერთობა” მხარს არ უჭერს ქალთა უფლებებს, მათ გაძლიერებას და უარს ეუბნება საკუთარი სხეულის განკარგვის უფლებაზე. როგორც ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციები აღნიშნავენ, ძალადობრივი ულტრამემარჯვენე ჯგუფები ასევე აწყობენ თავდასხმებს ე. წ „დაგეგმილი მშობლობის” შენობებზე, თავს ესხმიან როგორც აქტივისტებს, ასევე თავად ორგანიზაციას, მათ შორის სოციალურ ქსელებშიც.

საინტერესოა, რომ 2022 წლის პროგრამაში მარინ ლე პენმა თავის საარჩევნო პროგრამასა თუ გამოსვლებში ერთი სტრიქონიც კი არ დაუთმო სახელფასო დისკრიმინაციის თემას. რაც მოსალოდნელი კი იყო იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 2021 წლის ბოლოს, “ეროვნული ერთობის” (RN) დეპუტატებმა არ მიიღეს მონაწილეობა “თანაბარი ანაზღაურების შესახებ“ კანონპროექტის კენჭისყვრის პროცედურაში, რომელიც მიზნად ისახავდა ეკონომიკური თანასწორობის დაჩქარებას (The Conversation, 2.07. 2024). უფრო მეტიც, 2022 წელს პარტიამ ხმა მისცა ევროპული მინიმალურ ხელფასის წინააღმდეგ, რომელიც დაფუძნებულია თითოეული წევრი ქვეყნის

„ღირსეული ცხოვრების სტანდარტზე“, მიუხედავად იმისა, რომ “ეროვნული ერთობის” პარტიის წევრებმა ძალიან კარგად უწყოდნენ, რომ აღნიშნული ზომა აუცილებლად მოახდენდა დადებით გავლენას მრავალრიცხოვანი დაბალი და ძალიან დაბალი ანაზღაურების მქონე ქალებზე, მაშინ როდესაც კერძო სექტორში დასაქმებული ქალების საშუალო ხელფასის შემოსავალი 23.5%-ით დაბალია კერძო სექტორში დასაქმებულ მამაკაცების ხელფასთან შედარებით (INSEE 2022).

2020 წელს ჯორდან ბარდელამ ასევე თავი შეიკავა ხმის მიცემისგან რეზოლუციისთვის, რომელიც ითვალისწინებდა მამაკაცებსა და ქალებს შორის სახელფასო ანაზღაურების სხვაობის წინააღმდეგ ბრძოლას. ისევე როგორც “ეროვნული ერთობის” (RN) არაერთმა ევროპარლამენტარმა, ბარდელამაც აღნიშნა, რომ არ იყო სასურველი ევროკავშირის თითქმის მთელი დახმარება გათვლილი ყოფილიყო გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებასა და მათ დაძლევაზე.

2023 წლის მაისში „ეროვნულმა ერთობამ” ამჯერად თავი შეიკავა ევროპულ დირექტივაზე „გამჭვირვალობისა და თანაბარი ანაზღაურების შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავდა დადგენილიყო თანაბარი ანაზღაურება ქალებსა და მამაკაცებს შორის იდენტური და თანაბარი ღირებულების სამუშაოს შესრულების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლით ადრე, კერძოდ კი 2020 წელს RN-ის ევროპარლამენტარმა დეპუტატებმა ასევე თავი შეიკავეს რეზოლუციის მიღებაზე, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მამაკაცებსა და ქალებს შორის სახელფასო სხვაობას (Juliette Quef, 2024). აღნიშნული დირექტივის იმპლემენტირება საფრანგეთის კანონმდებლობაში მიზნად ისახავდა უზრუნველყო თანაბარი ღირებულების სამუშაოსათვის ქალი და მამაკაცი მუშაკების თანაბარი ანაზღაურების პრინციპი, რომელიც მართალია გათვალისწინებულია საფრანგეთის შრომის კოდექსში, მაგრამ როგორც წესი ნაკლებად

ხორციელდება მისი აღსრულება. აღნიშნული კანონმდებლობით, დამსაქმებელი ვალდებულია გასცეს თანამშრომელთა ანაზღაურება ბონუსების ჩათვლით, სრული გამჭვირვალობით. დამსაქმებლებმა უნდა წარმოადგინონ ანაზღაურების განმსაზღვრელი მკაფიო, ობიექტური და არასექსისტური კრიტერიუმები.

2023 წლის 10 მაისს, მრავალწლიანი ზეწოლის შემდეგ, ევროპარლამენტმა საბოლოოდ მოახდინა ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირება "ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ", რომელიც ცნობილია, როგორც ე.წ "სტამბულის კონვენცია" და წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო ინსტრუმენტს ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. აღსანიშნია ის ფაქტი, რომ "ეროვნულმა ერთობამ" (RN) ამჯერადაც მხარი არ დაუჭირა აღნიშნულ კონვენციას, რომელიც წარმოადგენს მბოჭავი ხასიათის და ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ინსტურმენტს, იგი ქმნის ფართო სამართლებრივ ჩარჩოს და აყალიბებს მიდგომებს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ და მიმართულია ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისკენ, მსხვერპლის დაცვასა და ამ ძალადობაში ეჭვმიტანილი პირების სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემისკენ.

ქალთა ინსტრუმენტალიზაცია და "ფასადური ფემინიზმი"

თანამედროვე ულტრამემარჯვენე ძალების ერთ-ერთი მთავარი სტრატეგია და მახასიათებელია ქალების დაუცველობის გამოყენება რასისტული და ისლამოფობიური მიზნებისთვის, იმ აზრზე დაყრდნობით, რომ სექსუალური აგრესორები თითქმის ექსკლუზიურად შავკანიანი ან არაბი მამაკაცები არიან. აღნიშნული მითი თეთრკანიან ქალებზე "მოძალადე მიგრანტის" საშიშროების შესახებ სიახლეს არ წარმოადგენს ფრანგული საზოგადოებისათვის, რომე-

ლიც ანტიიმიგრაციული არგუმენტის სახით წარმატებით გამოიყენა 1980-იან წლებში ჟან-მარი ლე პენმა.

1989 წელს, ავინიონში ფრანგი ქალის მკვლელობის შემდეგ, უკიდურესმა მემარჯვენეებმა მოაწყვეს დემონსტრაცია, რომლის დროსაც ჟან-მარი ლე პენმა მხარდამჭერებთან ერთად გარდაცვლილი ქალი „უკონტროლო იმიგრაციის წამებულად“ გამოაცხადეს. მარინ ლე პენი წლების განმავლობაში აქტიურად მუშაობდა, რათა ხალხს დაევიწყებინა მამის ჟან მარი ლე პენის უკიდურესად ქსენოფობიური თუ ანტისემიტური განცხადებები და პოლიტიკური გამოსვლები. როგორც ადამიანის უფლებათა დამცველები აღნიშნავენ, იგი კმაყოფილია „ისლამისტურ ტოტალიტარულ იდეოლოგიაზე“ თავდასხმით, როგორც განმანათლებლობის, ქალთა უფლებებისა თუ სეკულარიზმის დაუძინებელ მტერზე. თუმცა მისი კრიტიკა საზოგადოების „ისლამიზაციის“ შესახებ, მისი სურვილი, აიკრძალოს ბურკის ტარება, სავსეა გაურკვევლობით. საჯარო გამოსვლების დროს, მარინ ლე პენი სიამოვნებით საუბრობს ისლამისა და იმიგრაციის საფრთხეებზე. „უწყვეტი ტალღებით უკონტროლო იმიგრაცია აქცევს ჩვენს ქუჩებს, ჩვენს უბნებს, ჩვენს ქალაქებს არაფრანგულ ზონებად“ და „ამკვიდრებს ჩვენში ცხოვრების იმ გზებს, რომლებიც არ არის ჩვენი“ და იგი იძლევა დაპირებას, რომ „დაუბრუნებს ფრანგებს მათ სამშობლოს“.

2015 წელს ლე პენმა საკუთარი ტვიტერის ოფიციალურ გვერდზე განაცხადა: „თუ ჩვენ დავმარცხდებით, მაშინ ბურკა სავალდებულო გახდება ყველა ქალისათვის, შარიათი კი ჩაანაცვლებს ჩვენს კონსტიტუციას, ბარბარიზმი კი ოფიციალურად დაკანონდება“ (Marine Le Pen, 2015 Decembre, 2 MPL Officiel). 2016 წლის 13 იანვარს მარინ ლე პენმა კიოლნის გახმაურებული თავდასხმების შემდეგ, მიგრანტთა თემაზე საუბრისას აღნიშნა, რომ „ისინი მოქმედებენ როგორც კრიმინალები, მათ არ უნდა დაარღვიონ დასავლურ საზოგადოებაში დამკვიდრებული სავალდებულო წესები. მაშინ როდე-

საც მათ ესოდენ სძულთ ქალები და ეწინააღმდეგებიან ქალთა უფლებებს, რომელსაც ესოდენ ღიად აღიარებენ, ეს ძალიან მაშფოთებს...სქესის მიუხედავად სხეულის მთლიანობის უფლება, ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა. დღეს ძალიან ბევრი ქალის უფლებას თავს ესხმიან და ერთგვარი შიში მიპყრობს, რომ ბარბარიზმი ქალთა მიმართ გიჟური მიგრაციის პოლიტიკის წყალობით შესაძლოა კვლავაც განხორციელდეს" (დარბაიძე, 2020, გვ. 11).

ხშირად "ეროვნული ერთობის" წევრთა სატელევიზიო გამოსვლებში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემა ძირითადად განიხილება ქუჩის შევიწროების ჩარჩოებში და უკავშირდება იმიგრაციას, რომელიც პარტიის ერთ-ერთ საყვარელ თემას წარმოადგენს. 2022 წელს გამოქვეყნებულ „წერილში ფრანგ ქალებს" მარინ ლე პენი ქალებს ჰპირდება: „მძიმე სისხლის სამართლებრივი სანქციების გარდა, მე დავარეგისტრირებ ქუჩის მოძალადეებს სექსუალური დამნაშავეების რეესტრში და მივიღებ გადაწყვეტილებას იმ უცხოელების გაძევებაზე, რომლებიც ეწევიან ამ აღმაშფოთებელ პრაქტიკას" (Le Pen, 2022). მარინ ლე პენის ურთიერთობა ფემინიზმთან „თანასწორობის, ავტონომიურობისა და უსაფრთხოების საკითხებს ერთვის და გაცილებით ნაკლებად ეხება კულტურულ საკითხებს. ის იყენებს რიტორიკას, რომელიც მოიცავს ფემინისტურ თეორიებს, მაგრამ ეხება და განიხილავს მათ უსაფრთხოებისა და იმიგრაციის ჭრილში.

„ქალებს საფრთხე ემუქრებათ, მათ ქუჩაში ავიწროებენ, თავს ესხმიან და აუპატიურებენ გამვლელი უცნობები" - აღნიშნული რიტორიკით ცდილობს „ეროვნული ერთობა" (RN) ახსნას და გაამართლოს საკუთარი მიდგომა მიგრანტების მიმართ. „ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ქალების უფლებების წინააღმდეგი ვართ. სწორედ რომ ქალების ამ თავისუფლების დასაცავად ვიბრძვით მაგალითად, ისლამიზაციის წინააღმდეგ", - ამტკიცებს ელენ ლაპორტი „ეროვ-

ნული ერთობის” პარტიის წევრი და ევროპარლამენტარი. ევროპარლამენტარის აღნიშნული გამოსვლა მკაცრად დაგმეს ქალთა უფლებებზე მომუშავე ასოციაციებმა საფრანგეთში. მათი შეფასებით „სახეზე გვაქვს სექსისტური და სექსუალური ძალადობის ერთგვარი რასიალიზაცია RN-ში” - აცხადებს დომიტილ დე გოისი, (RFI, 13.06.2024). ლაპროტი მანიპულირებს ციფრებით და განმარტავს, რომ აპირებს დაიცვას ქალები სექსისტური თუ სექსუალური ძალადობისგან. მიუხედავად იმისა, რომ ჩატარებული კვლევების შედეგების თანახმად, სექსულაური ძალადობის მსხვერპლი ქალების 91% იცნობდა თავდამსხმელს და როგორც წესი დანაშაულია ჩადენილია სამუშაო გარემოში, კოლეგის, თუ დამსაქმებლის მიერ.

მარინ ლე პენის მოსვლამდე “ეროვნული ფრონტი” (FN) იცავდა ძალზე ესენციალისტურ დისკურსს ქალების როლზე, შთამომავლობა განიხილებოდა მათ ბედისწერად, ოჯახი კი სოციალური და ბუნებრივი წესრიგის საყრდენად, რომელსაც ფემინიზმი და იმიგრაცია ემუქრებოდა. ყოფილი „ეროვნული ფრონტის” (FN) ოჯახის პოლიტიკა მიზნად ისახავდა საფრანგეთში შობადობის გაზრდას და ქორწინებისა და ოჯახის შესახებ შეხედულებების გადაფასებას. ჟან-მარი ლე პენის პროგრამა ასევე ითვალისწინებდა აბორტის აკრძალვას და „დედის ხელფასის” შემოღებას დიასახლისების ანაზღაურებისთვის. მარინ ლე პენმა კი თავის პროგრამაში „დედის ხელფასი”, „მშობლის ხელფასად” გარდაქმნა. „დედის ხელფასიდან” „მშობლის ხელფასზე” გადასვლა ამჯერად ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ პარტიის გენდერული პოლიტიკა განახლდა.

2022 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მარინ ლე პენმა საკუთარ საარჩევნო პროგრამაში მიზანშეწონილად არ ჩათვალა 16 თემატური პუნქტიდან უშუალოდ ქალებისთვის დაეთმო რომელიმე პუნქტი, შესაბამისად პროგრამაში ქალი მხოლოდ ორჯერ იყო ნახსენები: „ოჯახის“ თემატურ ბლოკში შობადობის პრიზმაში და „უსაფრთხოების“ ნაწილში, რომელიც იმიგრაციის პრობლემას ეძღ-

ვნებოდა, რაც საკმაოდ სიმბოლური დატვირთვის მატარებელი იყო (Programme, 2024). ტერმინი „ქალი“ მხოლოდ ერთხელ იქნა გამოყენებული იმ კონტექსტში, რომ „სახელმწიფომ ხელი შეუწყოს შობადობის ზრდას. „ეროვნული ერთობისათვის (RN) თავად ის ფაქტი, რომ ქალებს მეტი შვილი ჰყავთ, ერთადერთი გზაა პარტიისთვის, რომ გარანტირებული იყოს ჩვენი საპენსიო სისტემა იმიგრაციის გარეშე” - აცხადებდნენ ფრანგი ფემინისტები. ლე პენის პროგრამის „ოჯახის“ თემაზე მიძღვნილ ქვეთავში აღწერილია საგადასახადო ღონისძიებებისა და სოციალური დახმარების სერია, რომელიც ექსკლუზიურად იქნება დაცული ფრანგული ოჯახებისთვის, შობადობის წახალისების მიზნით. მარინ ლე პენი გვთავაზობს ორმაგ მხარდაჭერას მარტოხელა დედებისთვის, რომლებიც მარტო ზრდიან ბავშვებს. ის ასევე ჰპირდება მათ საგადასახადო შეღავათებისა და სოციალური დახმარებების სერიას. „აღნიშნული პროგრამის მიხედვით საოჯახო შემწეობა დაცული იქნება ოჯახებისთვის, რომელშიც ერთი მშობელი მაინც ფრანგია, რაც თანაბარი მოპყრობის კონსტიტუციური უფლების დარღვევას წარმოადგენს. ეს არის ქალების პრენატალისტური ხედვა, რომელიც ზღუდავს მათ კერძო სფეროში“, - აცხადებს რაფაელ მანიერი, ასოციაციის “გაბედე ფემინიზმის”-ის პრეზიდენტი (Poinsot, 2022). მათი პროგრამის მიხედვით, ქალის მთავარი როლი შვილების გაჩენა და საოჯახო მოვალეობების შესრულებაა. მარინ ლე პენი, რა თქმა უნდა მშობლის დეკრეტულის მომხრეა, რომელიც არასავალდებულოა მამაკაცებისთვის. აღნიშნულ ქვეთავში იგი ასევე შეჰპირდა ქალებს, რომ „განხორციელდება სპეციალური ზომები მეუღლის ან ყოფილი მეუღლის მიმართ ჩადენილი ძალადობის უკეთ პრევენციისა და აღკვეთისთვის” და რომ მსხვერპლთა დაცვის ზომები იქნება „ეფექტური“. მიუხედავად აღნიშნული დაპირებისა, 2018 წელს მისი პარტიის დეპუტატებმა თავი შეიკავეს გენდერული ნიშნით და სექსუ-

ალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისაკენ მიმართული კანონის მხარდაჭერისგან.

“ეროვნული ერთობის” 2022 წლის საარჩევნო პროგრამაში არაფერი იყო ნათქვამი დასაქმების ადგილებზე ქალების არასტაბილურ სამუშაო პირობებსა ან თანაბარ ანაზღაურებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. საუბარი იყო მხოლოდ ჯანდაცვის გეგმაზე, რომელიც ითვალისწინებდა „ჯანდაცვის მუშაკთა ხელფასების ზრდას მათი სამუშაოს შესაბამისად". დაპირება, რომელიც ასევე შესაძლოა საინტერესო ყოფილიყო გარკვეული ფემინიზებული პროფესიული კატეგორიებისთვის, მაგალითად მედდის ასისტენტებისთვის, ვინაიდან აღნიშნული პროფესიის 90%-ს ძირითადად ქალები წარმოადგენენ (სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევების ინსიტუტის INSEE-ის მიხედვით), (Le Journal de Dimanche 05.09.2024).

საფრთხის ქვეშ დაყენებული ევროპელ ქალთა უფლებები

საფრანგეთი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა რადიკალური მემარჯვენე გენდერული განსხვავების შესანიშნავ მაგალითს, მაგრამ როგორც ფრანგი მკვლევრები მიიჩნევენ, ეს დრო წარსულში რჩება. უფრო და უფრო რთული ხდება მტკიცება არსებულ „გენდერულ სხვაობაზე“, ცხადი ხდება ისიც, რომ ამომრჩეველი ქალები, ისევე როგორც ახალგაზრდები უფრო მეტად მარჯვნივ იხრებიან. აღნიშნული ცვლილების ასახსნელად სამეცნიერო წრეებში წამოყენებული ჰიპოთეზებიდან ერთ-ერთი ეფუძნება საფრანგეთში კათოლიკური კულტურის დაქვეითებას, განსაკუთრებით ქალებს შორის, რომლებიც აღიქმებოდნენ ყველაზე მგრძნობიარე სეგმენტად ეკლესიის დისკურსის მიმართ, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ჟან მარი ლეპენის განცხადებულ ქსენოფობიურ პოლიტიკას (TV5 Monde, 19.-6.2024).

ქალი ლიდერის მმართველობის ქვეშ „ეროვნულმა ერთობამ“ შეძლო მოეხდინა კონსერვატიული პოზიციების მოდერნიზება გენდერის, სექსუალობისა და ოჯახის თემებთან დაკავშირებით. სწორედ ახალი დისკურსით „ეროვნული ერთობის“ ლიდერმა შეძლო ქალების და ახალგაზრდების მოზიდვა, რომლებიც ტრადიციულად ყველაზე ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი პოლიტიკური პარტიის ელექტორატთა რიგებში. ცხადია, რომ პარტიის აღნიშნულმა სტრატეგიამ შედეგი გამოიღო, მარინ ლე პენმა სტრატეგიულად გამოიყენა საკუთარი სქესი, პირდაპირ მიმართა ქალებს და უთხრა: „მეც ქალი ვარ, მეც ვიბრძვი, მეც მყავს შვილები, მეც განქორწინებული ვარ”. ულტრამემარჯვენე ქალი პოლიტიკური ლიდერების მსგავსად, ლე პენი თავს თანამედროვე და ძლიერ ქალებად წარმოაჩენს, რომელიც ქედს არ იხრის პატრიარქალური ნორმების წინაშე.

ლე პენის და მისი პარტიის პოლიტიკური სიმპათიების ერთგვარ გამომწვევ ფაქტორად ასევე შესაძლოა მივიჩნიოთ ისტორიასთან მისი ურთიერთობის ცვლილება. მარინ ლე პენი შორდება მამას, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შესახებ მისეულ ხედვას, რომელიც ჰოლოკოსტს დიდ პრობლემად არ მიიჩნევდა. მან გარიცხა ჟან მარი ლე პენი პარტიის რიგებიდან, ხოლო გაზეთ Le Point-თან ინტერვიუს დროს მარიანმა ცალსახად დაგმო ანტისემიტიზმი და ოკუპაციას საზიზღრობა უწოდა. მამისგან განსხვავებით მან უარი თქვა კოლონიალიზმის პოლიტიკასა და უფრო აგრესიულ ანტიმიგრაციულ რიტორიკაზე. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „ეროვნულმა ერთობამ” ცოტა ხნის წინ შეცვალა პოზიცია ევროკავშირის საკითხთან დაკავშირებით. 2017 წლის სატელევიზიო დებატებისას განცდილი მწვავე მარცხის შემდეგ, პარტია უარს ამბობს ევრო ზონიდან გასვლის პროექტზე, რათა პარტიამ შეიქმნას და შეითავსოს ევროთავსებადი იმიჯი. მიუხედავად აღნიშნული პოზიციისა, პარტია კვლავაც უკიდურესად ევრო-სკეპტიკურად არის განწყობილი. პარტიულ დაპირებებში მარინ ლე პენმა შეარ-

ბილა პოზიციები ოჯახთან, სექსუალობასა და ქალთა შრომასთან დაკავშირებით, რაც ერთგვარად მიმართულია ახალგაზრდა თაობებში პოლიტიკური სიმპათიების აღძვრაზე, მათზე ორიენტირებული უფრო პროგრესული დღის წესრიგის ჩამოყალიბების მიზნით. 2012 წლის პარტიულ პროგრამაში მნიშვნელოვნად გამოიკვეთა ერთსქესიანი სამოქალაქო პარტნიორობის მიმართ პარტიის შერბილებული დისკურსი, თუმცა „ეროვნული ერთობა" კვლავაც წინააღმდეგი რჩება ერთსქესიანთა ქორწინების და გეი წყვილებისთვის შვილად აყვანის უფლების მინიჭების (Wildman, 2017).

„ეროვნული ერთობა" და ქალთა უფლებების ასოციაცია წარმოადგენს ერთმანეთისგან სრულიად ანტაგონისტურ ცნებებს. „ამ პარტიას არასოდეს დაუცვია ქალები, ცხადია, არც მისი მასკულინური ვერსიით, როდესაც მას ჟან-მარი ლე პენი ხელმძღვანელობდა და არც მას შემდეგ. RN-ის საარჩევნო ხმებისა და პროგრამების მთელი ისტორია მკაფიოდ წარმოაჩენს პარტიას, რომლისთვისაც არასოდეს ყოფილა ქალი და მისი უფლებები პრიორიტეტი" - აცხადებენ ფრანგი ქალთა უფლებადამცველები.

ევროპარლამენტის არჩევნებში „ეროვნული ერთობის" წარმატებით შოკირებულმა პრეზიდენტმა მაკრონმა დაითხოვა ეროვნული ასამბლეა და დანიშნა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. ადამიანის უფლებებზე მომუშავე და ფემინისტური ორგანიზაციები განსაკუთრებით შეშფოთებულნი აღმოჩნდნენ „ეროვნული ერთობის" ხელისუფლებაში მოსვლის რეალური პერპექტივით გამოწვეული საფრთხეებით. „ყველა ულტრამემარჯვენე მთავრობას სურს ძირი გამოუთხაროს ფემინისტურ პროგრესს, ქალებისთვის, ლგბტ ადამიანებისთვის, ბავშვებისთვის და მარგინალიზებული ჯგუფებისთვის, 7 ივლისს უკიდურესი მემარჯვენეების ხელისუფლებაში მოსვლა აღარ იქნება მხოლოდ უფლებების საკითხი, არამედ ეს იქნება გადარჩენის საკითხი - აცხადებდნენ ფრანგი უფლებადამცველები (Le Monde, 13.06.2024). ევროპარლამენტის არჩევ-

ნების შემდეგ, ეროვნული ასამბლეის არჩევნების მეორე ტურამდე თითქმის უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა საპროტესტო აქციები და სამოქალაქო გამოსვლები საფრანგეთის დიდ ქალაქებში, რომელშიც ათიათასობით საფრანგეთის მოქალაქე იღებდა მონაწილეობას. მანიფესტანტები გონიერი არჩევანისკენ მოუწოდებდნენ საზოგადოებას და ახსენებდენ იმ საფრთხეებს, რაც ულტრამემარჯვენე "ეროვნული ერთობის" ხელისუფლებაში მოსვლით ემუქრებოდათ (TV5, 2024). ახსენებდნენ ამომრჩევლებს და განსაკუთრებით ქალებს, თუ როგორც დაარღვიეს ქალთა უფლებები პოლონეთში, აბორტისა და კონტრაცეფციის უფლების აკრძალვით, თუ როგორ არღვევენ ქალთა უფლებებს უნგრეთში და ყველა იმ ქვეყნებში, სადაც დღეს რადიკალური ძალები გვევლინებიან ხელისუფლებაში ისეთ საკითხების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებით როგორიცაა ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები, პროფესიული თანასწორობა, ზრუნვისა და საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობა, ქალთა მიმართ ძალადობა და ქალთა ორგანიზაციების სუბსიდირება.

დასკვნა

ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტიების შესწავლისას სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გენდერული ასპექტი უგულებელყოფილია, მაშინ როდესაც გენდერული პერსპექტივა საშუალებას გვაძლევს უფრო სრულყოფილად გავიგოთ და ავხსნათ ევროპულ ქვეყნებში პოპულისტური რადიკალური მემარჯვენეების ტრანსფორმაციისა და აღზევების ძირითადი მიზეზები. უკიდურესად მემარჯვენე პოლიტიკური პარტიების ფემინიზაციამ და მოდერნიზაციამ ფაქტობრივად რადიკალურ მემარჯვენე ძალების დივერსიფიკაციასა და მათი ელექტორატის ბაზის გაფართოებას შეუწყო ხელი. ქალთა უფლებების ხელშეწყობა არსებით საკითხს წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც ყოფილი „ეროვნული

ფრონტისა" და ამჟამინდელი „ეროვნული ერთობის" ანტიიმიგრაციულ სტრატეგიაში. თუმცა პარტიის აქცენტირება ქალთა უფლებებზე ძირითად მხოლოდ ისლამოფობიური და საარჩევნო მიზნებისათვის ხორციელდება, ვინაიდან მას არ მოჰყოლია პარტიის პოზიციის რეალური ცვლილება საზოგადოებაში ქალის როლის შესახებ. „ეროვნული ერთობის" (RN) ფემინიზმი გარეგნულად ოპორტუნისტულია, მათი მეტყველება ხანდახან რბილია, თუმცა რეალური ქმედითი ნაბიჯები კი მას არ მოსდევს. უკიდურესი მემარჯვენეების ფემინიზაცია უფრო მეტად წარმოადგენს ერთგვარ პოლიტიკურ სტრატეგიას, რომელიც მიზანდ ისახავს რადიკალური მემარჯვენე ძალების დემონიზაციას და ნორმალიზებას საზოგადოებაში, ვიდრე პოლიტიკური პარტიის მენტალიტეტის რეალურ ცვლილებას და მის მიმღებლობას უფრო ფემინისტური ღირებულებების მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა

Bardella Premier Ministre, Un Projet, Une Methode, Rassembelement National, Avaliable at:https://rassemblementnational.fr/documents/202406-programme.pdf, (Accessed 2 Julay 2024)

Bouhi, K. (2022), The public representation of Marine Le Pen: A Woman Politician Like Any Other? Gender in Geopolique Insititute

Breban, L. (23.02.2022), La Représentation Publique de Marine Le Pen : Une Femme Politique Comme les Autres ?, *Institut du Genre en Geopolitique*

Chabaud, C. (08/07/2024), Un véritable travail sémantique a été opéré » : comment le RN a adouci son discours... mais pas ses idées, *La Vie*

Comment Marine Le Pen a bouleversé la politique française (5.07.2024), BBC

Darbaidze, E. (2020). Political Transformation of the French „National Rally" and Gender Analysis of Party Election Programs. *Politics/პოლიტიკა.*

Dunand, E. /AFP, (04.04.2024), Droits des femmes : comment le RN, le NFP et Ensemble se positionnent-ils?, Rassemblement national et droits des femmes : "le double-discours", *Conversation*

Ensauvagement", Ce Que Signifie Ce Concept Cité Par Gérald Darmanin, Eric Ciotti et Marine Le Pen, (27.07.2020), *Le Journal du Dimanche*

Enquete aupres des Francaises sur la question du genre et du feminisme dans leur vote au second tour de l'elecion presidentielle, (2022), Institut d' Etudes Opinion et Marketing en France et a l'Internatonale

Face aux GG : Marine Le Pen, incollable sur ses 6 chats. Youtube.com, Avaliable at: https://www.youtube.com/watch?v=kg4Kb6aQT_c, (Accessed 2 June 2024)

Froidevaux, C. (13.06.2024), Metterie, philosophe : « Voter RN pour les femmes, c'est braquer une arme contre soi », *Le Monde*, Avaliable at:https://www.lemonde.fr/idees/article/2024/06/13/camille-froidevaux-metterie-philosophe-voter-rn-pour-les-femmes-c-est-braquer-une-arme-contre-soi_6239274_3232.html, (Accessed 2 June 2024)

Les Femmes De Plus En Plus Nombreuses à Voter Pour le Rassemblement National, TV5 Monde, 19.06.2024

Le Pen, M. (2011). *À contre flots*. Editions Jacques Grancher

Le Pen, M. (2022). Marine Le Pen:«Lettre aux Françaises». *Le Figaro*

Le Rassemblement National, De Plus En plus Populaire Chez les Femmes, Est-il Une Menace Pour Leurs Droits?, RFI, (13.06.2024), Avaliable at:https://www.rfi.fr/fr/france/20240613-droits-des-femmes-faut-il-s-inqui%C3%A9ter-de-la-pouss%C3%A9e-du-rassemblement-national, (Accessed 14 June 2024)

Le Programme De Marine Le Pen Pour La Présidentielle 2017, Le Parisien, Avaliable at:https://www.leparisien.fr/elections/presidentielle/le-programme-de-marine-le-pen-pour-la-presidentielle-2017-13-02-2017-6677067.php, (Accessed 2 May 2023)

22 Mesures Pour 2022, Rassembelemet National, Avaliable at:https://rassemblementnational.fr/22-mesures, (Accessed 2 November 2023)

Paxton, F., & Peace, T. (2021). Window dressing? The mainstreaming strategy of the rassemblement national in power in French local

government. *Government and Opposition*, *56*(3), 545-562.Quef, J. (18/06/2024), Malgré son opération séduction, le Rassemblement national est toujours l'ennemi des droits des femmes, *Vert*

Poinst, N. (21.04.22), Ce que risquent les femmes si Marine Le Pen est élue, Femina, Avaliable at:https://www.femina.ch/societe/actu-societe/ce-que-risquent-les-femmes-si-marine-le-pen-est-elue, (Accessed 5 Octbre 2024)

Présidentielle : pourquoi la moitié des Françaises considèrent-elles Marine Le Pen comme « féministe » ? Journal du Dimanche, 22.04.2022

Stockemer D.,&Barisione M.(2016). The New Discourse of the Front National Under Marine Le Pen: A Slight Change with a big impact, European Journal of Communication 32, (2)

Tahrim, K. La (20.04.2022), Marine Le Pen et les droits des femmes : le risque d'une marche arrière forcée, *La Grande Conversation*

TV5 Monde, Rassemblement National et Droits des Femmes : "le Double-Discours", 17.06.2024

Wildman, S. (2017), Marine Le Pen wants to protect France's LGBTQ Community – But Opposes Same Sex Marrage, *Vox*

Eka Darbaidze

The New Political Discourse of the Far-right "Nationale Rally" and its Influence on the Results of the European Parliament Election

Abstract

In recent years, there has been a significant rise of far-right sentiments in Europe, where the rise of ultra-nationalist forces and their anti-Western sentiments have threatened liberal-democratic values. In the member states of the European Union, the economic crisis, international terrorism, growing migration and growing dissatisfaction with multiculturalism led to the activation of radical right-wing political forces and the growth of support for them.

The parliamentary and presidential elections held in France in recent years, as well as the 2024 European Parliament elections, once

again confirm that the gender gap between far-right forces and female voters is slowly closing. More and more women are voting for populist radical forces in elections.

The purpose of this article is to determine what factors contributed to the growth of political sympathies for the far-right political forces in the French electorate and to fill the thirty-year gap between them, whether the party's political discourse has actually changed in recent years and whether it is consistent with the party's policy.

Under a female leader, National Really was able to modernize conservative positions on gender, sexuality, and the family. Like many Far-right female leaders, Marine Le Pen presents herself as a modern and strong woman who does not bow to patriarchal norms. It was through this new discourse that she managed to use her gender strategically, gaining the support of women and young people, who were traditionally the least represented in the ranks of the political party's electorate.

Keywords: Far-right party, Marine Le Pen, "National Unity" (RN), "National Front" (FN), populist radical right party PRP.